ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N46

22.11.2024 წელი
12:30 საათი

ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
ოთახი 3-01

მიმდინარე წლის 22 ნოემბერს 12:30 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გურამი ოქროპირიძე** (კომისიის თავმჯდომარე), **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი), **ვლადიმერ ბოჟაძე** (კომისიის წევრი) და **ანა კილაძე** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე **ლევან მიქავა** და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 4 (ოთხი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი *(საფუძველი წერილი #12-032432550-03, 20.11.2024წ.);*
   მომხსენებელი - ლევან მიქავა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრთა მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დადგენილების პროექტში შესატანი ცვლილებების შესახებ ინფორმაცია, კომისიას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ წარუდგინა.

ლევან მიქავა - მოგესალმებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსულობების გათვალისწინებით, რომლის თანახმად შემოსავლების

ნაწილში იზრდება ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი - 2 500,0 ათასი ლარით, შესაბამისად მცირდება მიწაზე ქონების გადასახადი, არაფინანსური აქტივების კლების ნაწილში იზრდება საცხოვრებელი შენობების გაყიდვიდან მისაღები შემოსავლები - 19 691,6 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო ფინანსური აქტივების კლების ნაწილში მცირდება სესხებიდან მისაღები შემოსავლები - 100,0 ათასი ლარით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა ჯამურად იზრდება **19 591,6** ათასი ლარით და შეადგენს **2 077 927,2** ათას ლარს. ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის, რაიონის გამგეობის და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების დამატებითი მოთხოვნების და გადანაწილების შესახებ წინადადებები.

აღნიშნულის გათვალისწინებით იზრდება, სპორტული ღონისძიებები 3 702,3 ათასი ლარით, ბიუჯეტი მოხმარდება 2024 წელს მსოფლიო და ევროპის ჩემპიონატებში მიღწეული წარმატებებისათვის თბილისელი სპორტსმენებისა და მათი მწვრთნელების მატერიალურ წახალისებას, სპორტულ ღონისძიებების ხელშეწყობას, რომლის ფარგლებში საახალწლოდ იგეგმება ყინულის მოედნის მოწყობა და ასევე, ა(ა)იპების მხარდაჭერას. ასევე, იზრდება ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა 357,1 ათასი ლარით, აღნიშნული თანხით გათვალისწინებულია სხვადასხვა ახალგაზრდული პროექტების ხელშეწყობა.

სხდომა კითხვა პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხრე - გურამი ოქროპირიძე, გივი ჩხარტიშვილი, ვლადიმერ ბოჟაძე, ანა კილაძე, - (4),

წინააღმდეგი - (0),

თავი შეიკავა -(0).

ქ. თბილისის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15დეკემბრის N33-89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გურამი ოქროპირიძე